



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბოგობილ ბუქე-
უბი სიფყვას, ფყუილუბით და ჭბბბბით ბუბ-
ბის გაცნას ყულა უუბბბბბბბუ უსბბბბბბბ.

ბაბბბბ 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა


ბარასკევი, 22 დეკემბერი. 2023 წ. №144 (9676) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

**არ ბაბბბბბბბბ, რუსეთმა ჯაბბბბ
ბსბბბ საბბბბბბბბბბ ბყბბბბ!**



ნბ. 6 ბბ.

**რბბბბ
ბრბბბბ
ზბსბბბბბბბბ ბბბ
რუს ბნბბბბბ
ბკუბბბბ-ბსბბბბბბბბბბ?**




შაბბა კბბბბბბბ
- ბბბბბბბ,
უბბბბბბ,
უკობბბბბბბ
ბბსბბბბბ და
ბბბბბბბბბბ

ბბბბბ ბაბბბბბბბ:



**„ბბბ
ვბბბბბ
და
სსბბბბბბბბ
ბრ ბბბბბბ“!**

ვბბბ ბაბბბბბბბ:



**ბბბბბბბბბბ
ბბბბბბბბ
ბბბბბბბბ
ბბბბბბბბ
ბბბბბბბბ
ბბბბბბბბ**

**ბბბბ რბბ
ბბბბბბბბ ბსბბ
ბბბბბბ
ბბბბბბბბბბ
„ბბბ ბბ“**



ბბბ „ბბ“

**საბბბბბბბ ბაბბბბ რუსბბბ
ბბბ ბბბბბბბბ რბბბბბბბ
ბსბბბ ბრ ბბბბბბ!**

ბაბბბბ გენერბლბრბბ ბსბბბბბ ბბბბ დაუბბბ რუ-
სეთის ბბბ ბბბბბბბ რბბბბბბბ „ბბბბბბ ნბბბბ-
ბბბ, ნეობბბბბბბბ და სსბბა უბბბბბბბბ სსბბა სბბბბბბბბბ,
რბბბბბბბ რბსბბბბ, რბსბბბბბბ ბბსკუბბბბბბბბ, ბსნეობ-
ბბბბბბბ და ბბბბბბბ დაბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ ბბ-
ბბბბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბბ.

ბბბბბბბბბ სბბ ბბსბბ 118-ბა სბბბბბბბბბ, ბბბბბბ-
ბბბ 49 ბბბბბბბ, 14 ბბბბბბბ 30 ბბბბ ბბბბბბბ.

საბბბბბბბბ ბბ ბბბბბბბბ ბბბბბ ბბ, რბბბბბბბ რუ-
სეთის ბბბ ბბბბბბბ რბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბ-
ბბბბბბ. ბსბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბ ბბბბბბბ,
ბბბბბბ, ბბბ, ბბბბბ, ბბბბ ბბბბბბბბ, ბბბბბბ, ბბ-
ბბბ, სბბბბბბბ, ბბბბბბ, ბბბბბბ და სსბბ ბბბბბბბ.

რბბბბბბბბ ბბბბ ბბბბბბბ რუსეთბა, ბბბბბბ, ბსრ-
ბბბ, სობბბბბ, ბბბბბბბბბ, ბბბბბბბბ და სსბბ ბბბბბბბბ.
უკრბბბბ ბბბბბბბბბ ბბბბბბბბ, რუსეთი რბბბბბბბ
სბბბბბბბბბ ბბბბბბ, ბბბბბბბბ რუკრბბბბ ბბბბბბბ
ბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბ.

**ბბბბბბბ ბბბბ ბბბბბ
ბბბ ბბბბბბბბ, რბბ
რუსბბბ ბბბ ბბბბბბბ
ბბბბბბბ! 8**



ბბბბბ ბრბბბბბბ:

**უკრბბბბ ბსბ ბბბბბბ, ბბბ
ბბბ ბბბბ
ბბბბბბბბბ
ბბბბბბ!**

ნბ. 8 ბბ.

შალვა კერესელიძე – ღირსეული, უენიკვლო, უკომპრომიზო მესწიერი და მამულიშვილი



არანა ადამიანში, რომელთა მოღვაწეობა სიცოცხლეშივე მისაზიარებელია თანამედროვეებისთვის. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება 1913 წლის 25 დეკემბერს ზემო რაჭის მშენებელ მალაქოშვიან სოფელ უწერაში, იასონ კერესელიძისა და ოლღა რეხვიანიშვილის მეტად მშრომელ და კეთილსინდისიერ, პატიოსნობით სავსე ოჯახში, დაბადებული შალვა კერესელიძე. მუშისგან ჭარბი ნაბოძები ნიჭი, დაუმრეტელი ენერჯია და უდრეკი ნებისყოფა შალვა კერესელიძეს დაჰყვა ბავშვობიდანვე.

მამა 1921 წელს გრიპის ეპიდემიისას 41 წლის ასაკში გარდაიცვალა და ხუთი შვილის აღზრდა დედას მოუწია, თუმცა მას გვერდში ამოუდგნენ და მზრუნველობა გამოიჩინეს შიძებმა და შიძაშვილებმა.

შალვამ დაამთავრა ონის საშუალო სკოლა, სწავლობდა ფრიალდებზე, სოფლიდან ონამდე 12 კილომეტრზე ძირითადად ფეხით დადიოდა. 1931 წელს თბილისში უმაღლეს სასწავლებელში – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე მოეწყო და სწავლისას თავს იჩინებდა ფრიალდოსნის სტიპენდიით. 1936 წელს ინსტიტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მას შესთავაზეს ასპირანტურაში დარჩენა, მაგრამ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იმავე წელს ის მეცნიერ-

თანამშრომლად იწყებს მუშაობას ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ანასეულში, სადაც 1938 წლამდე მონაწილეობს იღვწოდა ამ სტრატეგიულ კულტურებში ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონის ასამაღლებლად. შემდეგ ბატონი შალვა სწავლობდა ასპირანტურაში მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტში, საიდანაც 1941 წელს გაიწვიეს ჯარში.

1943 წელს დემობილიზაციის შემდეგ შ. კერესელიძე უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს და მუშაობას იწყებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასისტენტად, ხოლო საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ მას ირჩევენ დეკანის მოადგილედ.

1949 წელს შალვა კერესელიძე დაინიშნა ახლად შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად და აქედან იწყება მისი დაუღალავი შემოქმედებითი მეცნიერული და საკონსტრუქტორო მოღვაწეობა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისათვის განკუთვნილი მანქანების შესაქმნელად. 1961 წელს იგი იყავს სადოქტორო დისერტაციას, ხოლო 1962 წელს მას პროფესორის წოდება ენიჭება. განუზომელია ბატონ შალვას

ღვაწლი ხარისხიანი ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რაც სათანადოდ დაფასდა - 1967 წელს მას, როგორც ჩაის საკრეფო მანქანა „საქართველოს“ პრინციპული სქემის ავტორსა და მანქანის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გაგრძელების სამუშაოების ხელმძღვანელს, კონსტრუქტორთა ჯგუფთან ერთად ლენინური პრემია მიენიჭა.

დიდა პროფესორ კერესელიძის დამსახურება საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინჟინერთა თაობების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ორმოცდაათამდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, იგი 1954-1962 წლებში მუშაობდა ახლად შექმნილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორად და ხელმძღვანელობდა ტრანქტორებისა და ავტომობილების კათედრას, შემდეგ 1962-1970 წლებში იყო კონსტანტინე ამირეჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

1971 წელს შალვა კერესელიძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და ამავე წელს მისი ინიციატივით შეიქმნა საკავშირო სამთო მიწათმოქმედების და სუბტროპიკული კულტურების მანქანათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც დაინიშნა; ამავე პერიოდში მან მიიღო სუბტროპიკული კულტურების დარგში გენერალური კონსტრუქტორის წოდება. 1975 წლიდან პროფესორი შალვა კერესელიძე დაუბრუნდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც მიუხედავად ხანდაზმულობისა სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობას. 1994 წელს იგი არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჯერ საპატიო, ხოლო შემდეგ ნამდვილ წევრად.

შალვა კერესელიძე 200 სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორია, მას ეკუთვნის 80-მდე გამოგონება. ბატონმა შალვამ როგორც ღირსეული, უმწიკლო პატიოსნებისა და უკომპრომიზო პრინციპულობის ქართველმა კაცმა, დიდმა მეცნიერმა, ნიჭიერმა და შრომისმოყვარეობის დამოყვარებელმა შედაგოგმა და ნამდვილმა პატრიოტმა ნათელი კვალი დატოვა და მისი სსოვნა მარად დარჩება ქართული ერის ცხოვრებაში.

შალვა კერესელიძე გარდაიცვალა 1997 წელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

არ შეგეშინდეთ ძუძუს კიბოთი დაავადებულად!

თბილისის მერიამ 20 დეკემბერს მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გამართა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მთავალი წლის იანვრიდან „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების“ პროგრამის ყველა მოსარგებლეს სრულად დააფინანსებს.

„პროგრამის ფარგლებში, ძვირადღირებული სამკურნალო მედიკამენტები სოციალურად დაუცველთა მხარეში მყოფი მოქალაქეების მსგავსად, პროგრამის ყველა მოსარგებლეს 100%-ით დაუფინანსდება. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, აღნიშნულ ცვლილებამდე, პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას სოციალურად დაუცველის სტატუსის არ მქონე პირებს მხოლოდ 80%-ით, რიგ შემთხვევაში კი – 50%-ით უფინანსებდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კი პაციენტებისა და მათი ოჯახების ფინანსურ ტვირთს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ძუძუს კიბოს აღრეული სტადიის შემთხვევაში, ერთ პაციენტს თბი-



ლისის მერია წლის განმავლობაში მიწოდებულ 21 600 და მასივში – 61 150 ლარით აფინანსებს, ხოლო მუშასტაზური ფორმის შემთხვევაში, მიწოდებულ 40 500 და მასივში 65 340 ლარით.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ პარლამენტმა მხარი დაუჭირა კანონს, რომელიც დედაქალაქის კონკრეტულ ადგილებში დიდი გაბარიტების მქონე ავტომანქანების გადაადგილებას შეზღუდვის დაწესებას ითვალისწინებს.

თბილისის მერის განცხადებით, შეზღუდვა M3, M2 და M3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისთვის

08:00-11:00 საათებსა და 17:00-20:00 საათების შუალედში იმოქმედებს. შეზღუდვა არ იმოქმედებს შაბათ-კვირას, უქმე დღეებსა და ავგისტოში.

ამასთან, მოძრაობა აიკრძალება მხოლოდ ქალაქის გარეკვეთ ტერიტორიაზე, იმ მონაკვეთებში, სადაც პიკის საათებში დიდა ნაკადები და გადაადგილება გარეკვეთ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს შეზღუდვა არ იმოქმედებს შაბათს და კვირას, შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უქმე დღეებში და ავგისტოში. ვფიქრობთ, ავგისტო იყოს გადაადგილებისთვის თა-

ვისუფალი, რადგან, როგორც წესი, ამ პერიოდში ქალაქი შედარებით თავისუფალია, მოსახლეობა გადის დასასვენებლად და ამიტომ, ეს გამოწვევის შესაძლებელია რომ დაშვებულ იქნას, – აღნიშნა თბილისის მერმა.

დედაქალაქის მერის თქმით, აღნიშნული წესის დარღვევისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელები დაჯარიმდებიან 1 000 ლარის ოდენობით.

კახა კალაძემ გამწვანების სამუშაოებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, ლიის ტბის მიმდებარედ, 16 ჰექ-

ტარ ფართობზე, დეგრადირებული ტყის აღდგენის მიზნით, მასშტაბური სამუშაოები განახორციელა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხრა სახეობის 16 000-ზე მეტი ძირი მცირე ზომის ხე დაიარგო. გამწვანების სამუშაოების პარალელურად, მცენარეების დაცვის მიზნით, ტერიტორია შემოიღობა, ასევე, სარწყავი სისტემა მოეწყო.

დედაქალაქის მერია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, თბილისში მდებარე ტყის მასივების მოვლა-აღდგენის სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს.

„ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის დედაქალაქში არაერთი პროექტი განხორციელდა და ახლაც მიმდინარეობს. ერთ-ერთი მათგანია მთაწმინდის ფერდობის აღდგენა, რომელსაც საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ ახორციელებს.

მადლობა მიძინა ივანეშვილს და ფონდს, რადგან თბილისისთვის აღნიშნული პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, დედაქალაქის მერამ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, თბილისის მიმდებარედ, 37 ჰექტარზე აღადგინა და გააშენა დეგრადირებული ტყის ფართობები“, – განაცხადა კახა კალაძემ.



აფხაზებს კიდევ ერთხელ უნდა შევასხნოთ, რომ რუსებმა მათი მუკაჯირობა მოუნწყვეს!

ყოველთვის, როცა მთელი სამყარო ირავება რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოში აქტიურად იბრუნება ადამიანები, რომლებიც მოითხოვენ, რომ განისაზღვროს რუსეთთან დაკავშირება არ შეიძლება და საქართველომ რუსეთთან დაკავშირება გააუქმოს და დაეხმოს რუსეთის წინააღმდეგ. ასეთი გააქტიურება შეინიშნებოდა გუბის ტრაგედიის დროსაც, როცა რუსული სიძულვილი გამოიხატა დასავლეთში ნელ-ნელა გამოვიხატა და გუბის დანაშაულის, რაც 1992-93 წლებში აფხაზეთში „გაგორრა“ მხარეებთან და, ასევე, „გაგორრა“ ავჯისთვის ომის დროს და, მთლიანობაში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის 200-წლიან პერიოდში.

საქართველოში კარგა ხანია, გამოჩნდა პეტიცია, სახელწოდებით, „იმოქმედე გენოციდის აღიარებისთვის“. საუბარია რუსეთის მიერ აფხაზეთში დატრიალებულ უმეტესწილად პეტიციის თანახმად, აფხაზეთში მოხდარი დანაშაულის მასშტაბი და ხასიათი ეთნიკურ წმენდას სცილდება და გენოციდად კლასიფიცირდება. როგორც ცნობილია, რუსეთის მიერ გუბაში, ირპენში, გოსტომელსა და უკრაინის სხვა ქალაქებში ჩადენილი ომის დანაშაულები გენოციდად უკვე შეფასდა აშშ-ის პრეზიდენტისა და მსოფლიოს არაერთი ლიდერის მიერ. ესტონეთის, ლატვიის, ირლანდიის, კანადისა და ჩეხეთის პარლამენტებმა უკრაინელთა გენოციდი ოფიციალურად აღიარეს.

სულ ახლახან საქართველოს პარლამენტშიც გახშირდა მოთხოვნა ქართველთა გენოციდის აღიარების შესახებ, ვინაიდან არსებობს დიდი რაოდენობით დოკუმენტური მასალა, რომელიც ადასტურებს რუსეთის სახელმწიფოს მიერ ეთნიკური ქართველების მიმართ განხორციელებულ გენოციდს 1992-93 წლებში. საქართველოს პროკურატურაში გახსნილია და თარიღდება 25 ათასი ასეთი საქმე, ანუ აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულები.

მაინხან თუ არა შესაძლებელია საერთაშორისო ასპარეზზე აფხაზეთში ქართველთა გენოციდის აღიარების კამპანიის დასაწყობად და რას მოგვმზადებს ეს ნაბიჯი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მშვიდობიანი დაბრუნების თემაზე საუბრისთვის?

ანალიტიკოსი ნიკოლოზ მინიჩივილი, რომელიც ქართველთა გენოციდის ფაქტის წინ წამოყვება, ალბათ, მაინც ღირს, თუ იქნება ეს არ უნდა დაზარალებული აფხაზებს, რადგან აფხაზეთის ომში რეალურად რუსეთი მონაწილეობდა. ამავდროულად, გამომდინარე უნდა იქნას აფხაზეთი გენოციდის საკითხზე რუსეთის ხელისუფლებით. ეთნიკურ აფხაზებს ჩვენ უნდა შევასხნოთ, ვინ არის აფხაზების ნამდვილი მტერი და მოყვარე.

„აფხაზეთი გენოციდი, რომელიც მუშაობის სახელწოდებით ცნობილია, პირველად 1853-56 წლებში ყირიმის ომის დროს მოხდა და მეორედ უკვე 1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ პერიოდში სხვადასხვა მონაცემებით, ასე ათასზე მეტი ეთნიკური აფხაზი გადაასახლეს რუსეთში. თავის დროზე საქართველოს პარლამენტმა ცნო ჩერქეზთა გენოციდი, ასევე, ქართველებმა უნდა ცნონ აფხაზეთი გენოციდი რუსეთის მხრიდან“ – აცხადებს ნიკოლოზ მინიჩივილი.

გენოციდის აღიარება საჭიროა, მაგრამ, ამავდროულად, ნიკოლოზ მინიჩივილი არ გამოირჩევა საშუალებებს, რომ სიმართლის თქმ-



სა და რუსეთის მხილების შემთხვევაში, რუსეთმა არ გამოხატოს საქართველოს მიმართ აგრესია. ამის თავიდან ასაცილებლად ერთი გზაა, საქართველოს პარლამენტმა ამ ეტაპზე ოფიციალურად კი არ უნდა მიიღოს დადგენილება გენოციდის შესახებ, არამედ ქართველმა საზოგადოებამ ეთნიკურ აფხაზებს უნდა მიაწოდოს რეალური ინფორმაცია აფხაზეთი გენოციდის შესახებ.

„ცხადია, რუსეთის ომს ვერ დავუწყებთ აფხაზეთში, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საინფორმაციო მერკური გვაქვს აფხაზეთი საზოგადოებასთან და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებლებთან. ცხინვალში უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, თუ როგორ იყო ოსთა უფლებები საქართველოში დაცული, კომუნისტური მმართველობის დროს სკოლების 60% ოსური იყო ცხინვალის რეგიონში. ჩრდილოეთ ოსეთის მაშინდელი დედაქალაქ თრკონიკში (ახლანდელი ვლადიკავკაზში) კი არც ერთი ოსური სკოლა არ იყო, ოსური გენოციდი ნადგურდებოდა, ფაქტობრივად, რუსი ოკუპანტი მიმდინარეობდა“, – ნიკოლოზ მინიჩივილი.

ანალიტიკოსი ედიშერ გვირაძე იხსენებს, როგორ ვითარდება გამოაცხადეს ცალკეულმა ქვეყნებმა გენოციდი. თორემ ასე გენოციდი რომ ვიძახოთ, არაფერს ნიშნავს, თუ არ აღიარებს ყველა დანარჩენი ქვეყანა.

„გენოციდის აღიარებას უამრავი მასალის შესწავლა სჭირდება. მასივს, შევარდნადის დროს 90-იან წლებში ქართველთა ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით მუდამ უნდა მიღებულ იქნას სპეციალური რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, ეთნიკური წმენდა მოეწყოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში. ახლაც ქართველთა ეთნიკურ წმენდაზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, გენოციდის აღიარებას კი რამდენი ხანია, ცდილობდნენ სომხები თურქეთთან დაკავშირებით. რუსეთი რომ ოკუპანტია, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს, რუსეთს ეკუთვნის აქვს ჩვენი ტერიტორიები, მაგრამ გენოციდი ნიშნავს ხალხთა აპოლოგურ ფლტებს“, – აცხადებს ედიშერ გვირაძე ჩვენი თან საუბრისას.

ანალიტიკოსის აზრით, ასეთი საკითხების თავიდან წამოჭრა რუსეთთან კონფრონტაციაში შესვლას ნიშნავს, ჩვენ კი გვინდა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხი დადგობით გადაწყდეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. ამისთვის რუსეთთან მოლაპარაკება მოგიწყვეს, მოლაპარაკების გარეშე არც ერთი საკითხი არც ერთ დღეში არ გადაწყვეტილია.

ედიშერ გვირაძის შეფასებით, გარკვეულ წრეებს, როგორც ოკეანის გაღმა, ისე გამოდის არ აწყობთ ურთიერთობის დათმობა საქართველოსა და რუსეთს შორის თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ინტერესების გამო აღნიშნულ ძალებს სურთ, საქართველო მუდამ ჰყავდეთ ცხელ წერტილად, რომლითაც ყოველთვის წაუსისინებენ რუსეთს, როდესაც დასჭირდებათ. ერთ დღესაც, დღემთა ნუ ქნას, გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს და რუსეთმა აგრესია გამოხატოს, ეს წრეები მხოლოდ შემოფოთლებიან და აღმოვლიდებიან დასავლეთში. ეს იქნება ჩვენი ტერიტორიების საბოლოო ოკუპაცია და ქართველი ერის ფიზიკური საფრთხის წინაშე დაყენება.

„განხილეთ, რას ლაპარაკობენ ჩვენი დასავლელი მეგობრები, მართალია, ამდენი ხალხი დაიღუპა უკრაინაში, 300 ათასი დაღუპულია, მაგრამ როგორ გავუწიოთ უკრაინას დახმარება, როცა ჩვენი ეკონომიკა მცირდება. ბლინკენმა თქვა ეს ორი დღის წინ. ამავე დროს, რუსეთში ლაპარაკობენ, რომ ამ ომის შედეგად რუსეთის ეკონომიკა 2,7%-ით გაიზარდა. ეს არის ე.წ. პროქსი თუ უკრაინაში, პროქსი ქვეყნად უნდათ საქართველოს გამოყენება. ასეთ დროს, მსოფლიოს გაყოფისას, ვეშაპების მრძობისას, გადარჩენას უნდა ვეცადოთ, რომ რომელიმე მათგანს ხახამი არ აღმოვჩნდეთ. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ის ვეშაპები ჩვენი თანა პატარა ქვეყანაში აფინანსებენ ისეთ ნაძირალებს, როგორებიც არიან ხაბიშვილები, წითლიძეები, ჭიჭიკაშვილები, პატიკო მანჯგალაძეები“, – აცხადებს ედიშერ გვირაძე.

მანანა ნოზაძე

უკრაინის ნაპირების ბარბიან

უკრაინის ყოველდღიურად წვევადელი ასაკის 6000 ახალგაზრდა ტოვებს. ამის შესახებ უკრაინის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა განაცხადა. იგორ მათვიჩუკის თქმით, ახალგაზრდები უკრაინის საზღვარს სხვადასხვა სტატუსით, მათ შორის, მოხალისის, სატვირთოს მძღოლის, შემლუდელი უნარების მქონე პირის თანხლებით ან მრავალშვილიანი მშობლის სტატუსით ტოვებენ.



იგორ მათვიჩუკი

ხშირია თაღლითობის შემთხვევები, როდესაც წვევადელი ასაკის მამაკაცები ხელს მრავალშვილიან ქა-

ლებთან აწერენ, რაც მათ საზღვრის დაუმრკოლებლად გადაკვეთის საშუალებას აძლევს. ასევე, გამოვლენილია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების სექსის შეცვლის შემთხვევებიც.

ალექსეი არისტოვიჩი: უკრაინას ისე გაუჭირდა, უკვე ქალთა მოპირიზაცია დაიწყო!

სულ მცირე მთელი 2024 წლის განმავლობაში რუსეთი შეინარჩუნებს ომის მხარდაჭერას და გაზრდის კიდევმას აქვს შესაძლებლობები, რომ გაზარდოს (შეიარაღების) წარმოება, აღდგენა და რემონტი, მიიღოს, გაწვრთნას და საბრძოლოდ გაგზავნოს პირადი შემადგენლობა. ჩვენ კი უკვე დავიდაღეთ, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ყოფილმა მრჩეველმა, ალექსეი არისტოვიჩმა განაცხადა.

„საუბრები ქალთა მოპირიზაციის შესახებ სამოპირიზაციო სისტემაში ძალიან არასასივთო მდგომარეობაში მოუთხოვს. რა დარჩება უკრაინისგან 2024 წლის ბოლოსთვის, დიდი კითხვაა. საქმე ისაა, თუ როგორ ვიყენებთ არსებულ რესურსებს: გვეყავს „ყასაში“ მეთაურები, არ გვაქვს კადრების გადამზადების სწორი პოლიტიკა, და სწორედ ეს უნდა გასაწიროს მოპირიზაციის შესახებ კანონმა. უკვე ისმის სალი აზრები, რომლებიც ჯერ კიდევ 2022 წლის მაისში უნდა გამოთქმულიყო. სისტემა, რომელიც გვმართავს, სწორად ვერ განკარგავს არსებულ რესურსებს და მხოლოდ ახალი რესურსების მოძიებაზე ორიენტირებულია. ჩემი აზრით, თუ ქალებს დააყენებთ აღრიცხვაზე და ჩაუკეტავენ მათ ქვეყნის საზღვრებს, ამ სისტემას ქალები ჩამოაგდვენ, იმიტომ რომ აღმოვლით ქალები საშიში ძალა“, – აღნიშნა არისტოვიჩმა.



ალექსეი არისტოვიჩი



სელსურთი

საქართველოს ნაკრები ევროპის ფეხბურთის ევროპის თასის მატჩებისთვის

მარტინოვიჩი 2024 წლის 10-28 იანვარს ხელმძღვანელ ვაჟა ჯორჯიას ჩემპიონატის ფინალურ ეტაპში გამართული 24 მატჩის წარმომადგენლების მონაწილეობით. კონტინენტის პირველ ეტაპში მონაწილეობის უფლებას მოიპოვეს საქართველოს ნაკრები, რომელსაც 18 დეკემბრიდან დაიწყო მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. ჩემპიონები E ჯგუფში შევსდნენ, ნიდერლანდებსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას დაუპირისპირდნენ.

11 იანვარი. ნიდერლანდები – საქართველო.

13 იანვარი. საქართველო – შვედეთი.

15 იანვარი. ბოსნია-ჰერცეგოვინა – საქართველო.

საქართველოს ნაკრების შესახებ გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ეროვნული გუნდის კონსულტანტი **მურმან მტრველი**.

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპზე მონაწილეობის უფლებების მოპოვებით საქართველოს ნაკრებმა ისტორიული შედეგი აჩვენა. ახლა მთავარია ამ შეჯიბრებისთვის ნორმალურად მოემზადოთ. ეროვნულმა გუნდმა უკვე დაიწყო წვრთნა. ეს ჩემპიონატისთვის უკეთესია. პირველად ნიდერლანდებში მოუყარეთ თავი ჩემპიონატის მატჩებს. მაშინ რუმინეთს ვეწვეით. ერთობლივ ვარჯიშთან ერთად ამხანაგური მატჩებიც გაგზავნით. ჯერ დედაქალაქის „შტურმ“ ვაძლიერებთ - 31:21, მერე რუმინეთის B ნაკრებს მოვუვებთ - 33:28.

საემოლო ახალგაზრდული ნაკრები გვეყავს.

მართალია, მაგრამ მათ გამოცდილება არ აკლიათ, რადგან საემოლო ძლიერ უცხოურ კლუბებში თამაშობენ. მაგალითად, გიორგი ცხოვრებაც („გუმენსახი“) გერმანიისა,

ერეკლე არსენაშვილი („პუნტეო ნილი“) – ესპანეთში, თეიმურაზ ორჯონიკიძე – ჩრდილოეთ მაკედონიაში, ზურაბ ცინცაძე („პოტი-პულავი“) – პოლონეთში, დავით ნიჭიბაძე (ვოლგოგრადი) – რუსეთში, ზურაბ გოგუა („კოტბუსი“) – გერმანიის, მიხაკა გვახეშვილი („მეტალოპლასტიკა“) – სერბეთში, ირაკლი კვიციანი („პოტი-პულავი“) – რუმინეთში, დავით გრიშინაშვილი („კოტბუსი“) – გერმანიის, ჰაბიბი რუსტამოვი („ისკრა“) – ბოსნია-ჰერცეგოვინაში, გიორგი დიხაშვილი („ლოვოსიცი“) – ჩეხეთში, სანდრო დარსანიანი – პორტუგალიაში. დანარჩენები ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობენ.

გერმანიაში ნაკრებს ვერ დაეხმარება სოფრანგეთის „შამგონი“ გამოჩენილი წევრი ნიკოლოზ კალანდაძე, რომელმაც წლეულს სეტემბერში ტრავმა მიიღო და ახლა მკურნალობს.

მეტოქემზე რას იტყვით?

– E ჯგუფის და, საერთოდ, ჩემპიონატის რეალური ფავორიტია შვედეთის ნაკრები, რომელსაც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე არავინ უარსდროს შეეხვედრივართ. სამაგიეროდ, დანარჩენებთან შეხვედრის გამოცდილება გვაქვს. ძალიან მაღალი დონის შემადგენლობები ჰყავთ ნიდერლანდებსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას, თუმცა მრძოლა ყველასთან შეიძლება.

ნახალჩევს – 3 იანვარს სლოვენიაში გავემზადებთ. იქ ერთობლივ წვრთნასთან ერთად ორ სპარინგმატჩსაც გაგზავნათ კუვიტისა და საუდის არაბეთის ეროვნულ გუნდებთან. 9 იანვარს გერმანიაში ჩავალთ, სადაც 11 იანვარს ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრა ნიდერლანდებთან გვექნება. ძნელი მატჩები გველის, მაგრამ წარმატების მიხედვით არაფერს დავიმოურებთ.

ბალარი მანსურაძე

გაბუტხა ცომა

ბავშვობის არჩევანის ერთგული

2023 წლის მატჩებზე მხტომელთა საქართველოს ქალთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი ზურ სულაშვილი) ახალი ფურცელი ჩაწერა სამამულო სპორტის ისტორიაში – დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემში მსოფლიოს 2023 წლის სალიცენზიო ჩემპიონატზე ლუბა გოლოვინამ, თონა ჯანჭლაძემ, ანანო აფაქიძემ და მარიამ რაგვიმამ გუნდურში ისტორიული მრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

იმავე ბირმინგემში ანანო აფაქიძემ და მარიამ რაგვიმამ 21-

სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი წლებადღეი შედეგები. მათ შორის, ცხადია, გუნდურში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს და სინქრონულში ანანო აფაქიძესთან ერთად 21-წლამდელთა ვერცხლის ჯილდოს გამოცხადებდა.

წლეულს უფროსებში მსოფლიოს თასებზე სინქრონულ ხტომებში ორჯერ მესამე ადგილი დაეიკავე ანანოსთან ერთად. ჯერ ივლისში პორტუგალიურ სანტარემში, შემდეგ კი



ოქტომბერში ბელგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში, სადაც 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო ქელებიც თამაშდებოდა.

სხვა შეჯიბრებებშიც მოგიპოვეთ მედალები...

– დიხი, იყო ასეთი ტურნირები. აი, მაგალითად თბილისში პირველად გამართა მატჩებზე მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრება სახელწოდებით „ოქროს ნახტომი“. 6 ქვეყნის 71 სპორტსმენი მონაწილეობდა. ინდივიდუალური ხტომებში პირველი ადგილი ევროპის 2022 წლის ვერცხლის პრიზიორმა, სამი ოლიმპიადის ფინალისტმა ლუბა გოლოვინამ დაიკავა. მორე ადგილებზე გავვდი. თბილისის ჩემპიონატზე მესამე ვიყავი, სამაგიეროდ, საქართველოს ჩემპიონატი მოვიგე.

– **თუმცა მსოფლიოზე მოპოვებული ბრინჯაო მაინც სხვაა.**

– გეტანხმებით. ეს, საერთოდ, ჩემი გუნდისთვის იყო უდიდესი წარმატება. კვარცხლბეკზე მდგარი ძალიან მძიმე და ამყავი ვიყავი. ამდენი დრო გავიდა და ეთორიდან ჯერაც ვერ გამოვსულვარ. წარმატება ჩემთან ერთად საქართველოს ნაკრების წევრების, უმაღლესი კლასის ოსტატების – ლუბა გოლოვინას, ანანო აფაქიძისა და თონა ჯანჭლაძის მალაქროფისგან გამოსვლამ განაპირობა. მაღლობა მინდა ვუთხრა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბატონ ზაქარია სულაშვილს, პირადად მწვრთნელს რევაზ გამხოვილს, ასევე, ზურაბ კვიციანი და რუსუდან ხოფერიას, რომლებსაც ჩემს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვია.

რაზე ოცნებობ?

– ძალიან მინდა ოლიმპიურ თამაშებზე ვიასპარეხო, თუნდაც 2024 წელს პარიზში, მაგრამ საკმარისი მოპოვება ძალიან ძნელი იქნება, რადგან მსოფლიოს 16 საუკეთესო მოხვედრა აუცილებელია. დღევანდელი რეიტინგით საქართველოს ნაკრებიდან ლუბა გოლოვინა მე-12 ადგილზეა, თავად მე-17 ადგილზე ვარ, ანანო 24-ეა, თონა – 35-ე. მანში ყველას გვაქვს. წინ კი სამი მნიშვნელოვანი შეჯიბრება გველის: ორი მსოფლიოს თასი ბაქოსა (თებერვალი) და გერმანიაში (მარტი), მერე კი ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიაში, ამ სამი შეჯიბრების შედეგები განსაზღვრავს კანდიდატთა საოლიმპიადე მანსებს. ვუკლები, სამივე ტურნირზე მესამეაღწერად საუკეთესო შედეგები ვაჩვენო.

ვარჯიშებისგან თავისუფალი დროს რითი ერთობ?

– ხატვით. არქიტექტურულზე მინდა ვისწავლო.

რომ არა მატეტი, სპორტის რომელ სახეობას აირჩევდი?

– ამაზე არც მიფიქრია. ისე, ძალიან მომწონს ფიგურული ციგურაობა, თუმცა მატეტი ხტომის მაინც ვერაფერი შევდრებ. ასე რომ, ბავშვობის არჩევანს გაუმართავ!

გიორგი როსტიაშვილი

ძიულ

ბაბრაბ ნინიაშვილი: ჩემთვის მთავარი მოტივაციაა ოჯახი, სამუშაო და ქობაბია

ძიუდოსში ბაბრაბ ნინიაშვილი ევროთამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რუსეთის დიდი სლეხის, ანტალიის გრან პრისა და კიდევ სხვა მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. კარმა ხანია, ვიცნობ და არასდროს მიკითხავს, რატომ აირჩია ძიუდო.

– ბავშვობაში ძალიან ცელქი ვიყავი და მშობლებმა გადაწყვიტეს, ეს ენერჯია ძიუდოში დამეხარჯა, – მიზნად ბაბრაბმა, მასთან ინტერვიუს აღება რომ გადაწყვიტე. – 6 წლისამ დავიწყე ძმასთან ერთად ვარჯიში. თავიდან ტატამზე კოტრილი ჩემთვის გართობა იყო, რომ წამოვიზარდე, ეს სპორტი პროფესიად მექცა.

პირველ დიდ გამარჯვებას როდის გავსინჯე გეგ?

– 2015 წელს. მაშინ თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ბავშვების ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლა. ბრინჯაოს მედალი ავიღე 60 კილოში. მართალია, ნახევრფინალში დავმარცხდი, მაგრამ ამ შეჯიბრებაზე მოპოვებულმა ჯილდომ მეტი პასუხისმგებლობა მაგრძობინა და უფრო მონდომებით განვაგრძე ვარჯიში. იმავე წელს სარაევოში თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილი დაეიკავე, ჯამბუკა ევროპის ჩემპიონატსა და ევროპის თასზე, რომლებიც მულგარეთსა და პოლონეთში ჩატარდა, მესამე ვიყავი.

თუმცა ყველაზე წარმატებული შენთვის 2019 წელი აღმოჩნდა.

– გეტანხმებით. იმ წელიწადს მელარუსის დედაქალაქ მინსკში უკვე უფროსების ევროპის ჩემპიონატსა და მეორე ევროპულ თამაშებზე ბრინჯაოს

მედალები მოვიპოვე. თუმცა მანამდე 2017-2018 წლებში ახალგაზრდობის ევროპის ჩემპიონატებზე მქონდა კარგი შედეგები – მესამე ადგილები დაეიკავე. ანტალიაში კი გრან პრიზე სულაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიღე.

მთავარი მოტივაცია რა იყო შენთვის?

– უპირველესად, ოჯახი, სამშობლო და გულშემატკივარი. რომ არა ისინი, წარმატებების მიღწევა გამიჭირდებოდა.

როგორ ფიქრობ, სპორტსმენისთვის რა არის უმთავრესი?

– დისციპლინა და მიზანდასახულობა – აუცილებლად უნდა აკეთო ის საქმე, რაც გვიყვარს.

ძიუდოდან წასვლაზე თუ გიფიქრია?

– არა, არასდროს, რადგან უზომოდ მიყვარს სპორტის ეს სახეობა. სამი წლის წინათ დიდ სლეგზე ჭიდაობისას ხელი მოვიტყე. არასწორად ჩამისვეს თამბაქოში და ოპერაცია

გახდა აუცილებელი. როგორც ხედავ, მოსუშედას სამი წელი დასჭირდა. ახლა ყველაფერი როგორც, ინტენსიურად ვვარჯიშობ და 28 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონატშიც ვიჭიდავებ. ტატამზე დამრუნება მედლით მინდა ადვინო. ყველაფერი გავაკეთებ საიმისოდ, რომ უწინდელი სასპორტო კონდიციები ადვილდინო და საერთაშორისო ტურნირებზე გამარჯვებებით ქობაბეი გავხარო.

მარიამ შაჩილაძე





უპრატ ახარაშვილი: მედიკამენტებსა 350 მილიონი ლარი დაზოგავს

უწყების ხელმძღვანელი ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან მედიკამენტებზე ფასის ხელოვნურ ზრდას გამოეხიზნა და აღნიშნა, რომ არსებული არასამართლიანი ფასებით ზარალდება როგორც მოქალაქე, ისე სახელმწიფო.

ჩვენი მხრიდან გაუგებრობა ნამდვილად არ არის, თუ ვინმესთვის ეს გაუგებრობა სამინისტროში არსებობს შესაბამისი პლატფორმა, სადაც ნებისმიერი სახის კომუნიკაცია შესაძლებელია. მედიკამენტების მაზრის რეგულირების დაწყებიდან დღემდე, ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან სამუხარულო ფაქტები მუდმივად გვხვდება. ეს რეგულაციური ფასების დაწესებას ეხება.

ჩვენი მხრიდან გაუგებრობა წამლის იმპორტის ფასები და ის ფაქტი, თუ რა ფასად მიდიოდა შემდგომში ეს მომხმარებელამდე. სამინისტრო უფრო მძიმე ფაქტები აპრილის თვეშიც დააფიქსირა. არასამართლიანი ფასებით ზარალდება როგორც ჩვენი მოქალაქეები, ისე სახელმწიფო. საუბარია ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან ონკოლოგიური მედიკამენტების ერთდროულად გაძვირებაზე. მოკვლევა ბოლო ეტაპზეა და შედეგები საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი. თუ ვინმეს არ ახსოვს იმპორტის ფასები, ინფორმაცია შემოსავლების სამსახურიდან შეუძლია გამოითხოვონ და ნახონ, თუ რა ფასად იყიდება ეს მედიკამენტები საცალო ქსელში.

ჩვენ რეგულაციური ფასების დაწესება ყველაზე მოთხოვნილი მედიკამენტებით დაიწყო, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სამინისტრომ პირდაპირი შესყიდვის გზით, ინოვაციური ონკოლოგიური მედიკამენტების შესყიდვის პროცესი დაიწყო. აღნიშნული წესით სახელმწიფო ძვირადღირებულ მედიკამენტებს სპეციალურ, მნიშვნელოვანად დაბალ ფასად შეიძენს და ონკოლოგიურ პაციენტთა სრულ საჭიროებებს დაფარავს. ამ დროისთვის რეგულაციური ფასი დაახლოებით

5 000 მედიკამენტზე მოქმედებს, რაც ფარმაცევტული მაზრის ნახევარზე მეტია. ეს ფასწარმოქმნას ნამდვილად მოაწესრიგებს.

მნიშვნელოვანია, რომ ფასები იყოს სამართლიანი და კონკურენტული. აღნიშნული ცვლილებით, წლის განმავლობაში ჩვენმა მოქალაქეებმა 350 მილიონი ლარი დაზოგეს. ასევე, ძალიან დიდი შედეგია ონკოლოგიური მედიკამენტების მიმართულებითაც...

სასპორტიბო ბინები კიდევ 66 ოჯახს დაუკანონდა

დედაქალაქის მერმა ისინი რაიონში მცხოვრებ 66 ოჯახს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები გადასცა. აღნიშნულ ოჯახებს საცხოვრებელი ფართები, რომელშიც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ, თუმცა ვერ იკანონებდნენ, სიმბოლურ ერთ ლარად გადაეცათ. დედაქალაქის მერის თქმით, საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროგრამით უკვე 3000-ზე მეტმა ოჯახმა ისარგებლა.



„ისინი რაიონში მცხოვრებ 66 ოჯახს გადაეცათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები. ეს ოჯახები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ფართებში, რომელთა დაკანონებას ვერ ახერხებდნენ. ჩვენ 2017 წლიდან დაიწყეთ აღნიშნული პროგრამა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს და 3000-ზე მეტი ოჯახი უკვე დაკანონდა“.

რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ აღნიშნულ პროგრამას, რათა ყველა ოჯახს, ყველა მოქალაქეს, ვინც ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას, დაუკანონდეს საცხოვრებელი ფართი, – განაცხადა ვახა კალაძემ.

განახლებული ქუჩა-მოედნები რუსთაში

რუსთაში, კიდევ ერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი სრულდება, – ამის შესახებ აღნიშნულია რუსთავის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



მათივე განცხადებით, 9 ძმა ხერხეულიძის, გურამიშვილის, ლერმონტოვისა და შეგვინკოს ქუჩების, ასევე მათი დამაკავშირებელი მოედნის სრული განახლების ფარგლებში, დღესათვის ასფალტის ბოლო ფენის დაგება დასრულდა და საავტომობილო გზის დახატვა მიმდინარეობს. რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, მოადგილე მესიკ ტოგონიძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო.

„რუსთაში დასრულდა კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მსხვილი პროექტი, რომელიც ოთხი ქუჩის და მათი დამაკავშირებელი მოედნის განახლებას გულისხმობდა. დასრულებულია, 9 ძმა ხერხეულიძის, შეგვინკოს, გურამიშვილისა და ლერმონტოვის ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურის სრული განახლება, დანაზოგით დაგეგმილი სამუშაოები. აღნიშნულ ქუჩებზე სრულად განახლდა მიწისქვეშა კომუნიაკაციები, შეიცვალა წყალსადენის, ელექტროგაყვანილობის და გამსაღვნი ქსელები. წყალსადენზე დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების ჩამკეტი ურდული. დაიგო გზის ახალი საფარი და რა თქმა უნდა მოსახლეობისთვის გაუმჯობესდა საფეხმავლო მილიეკები“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.



განცხადება

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილების №05/01-160 საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით.

პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 8 იანვრიდან 2024 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

პრეტენდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 10:00-დან 17:00 საათამდე (ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღისა) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა 61, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №101.

აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდება 2 ეტაპად: ა) დოკუმენტური მონაცემების შეფასება - 2024 წლის 24 იანვრიდან არა უგვიანეს 2024 წლის 1 თებერვლისა; ბ) პრეტენდენტებთან გასაუბრება - 2024 წლის 8 თებერვლიდან არა უგვიანეს 2024 წლის 16 თებერვლისა.

აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარედგინება არაუგვიანეს 2024 წლის 23 თებერვლისა.

- პრეტენდენტი უნდა იყოს:
- ა) უმაღლესი განათლების მქონე;
- ბ) ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
- გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
- დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

- პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
- ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
- ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი;
- გ) უნივერსიტეტის შესაბამისი სფეროს განვითარების სამოქმედო გეგმა;
- დ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- ე) ავტობიოგრაფია (CV);
- ვ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
- ზ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
- თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

გააბარეთ უცხო-სხალი წელი საქართველოში

„მსოფლიოს 32 საუკეთესო ადგილი საშობაო არდადეგების განსტარებად“ – გველენიანი სა-მომგზაურო გამოცემა Conde Nast Traveler ევროპის, აზიისა და ამერიკის პოპულარულ მიმართულებებთან ერთად მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს.

„ვინაიდან საქართველოს მართლმადიდებლური იკლესია იულიუსის კალენდარს იყენებს, საქართველოში შობის დღესასწაულს 7 იანვარს აღნიშნავენ. თუმცა თბილისის სახეობო განწყობა დეკემბრის დასაწყისიდან ეტყობა. საქართველოს დედაქალაქი მორთულია სახალალო დეკორაციებით, ქალაქში მუსიკალური წარმოდგენები და სა-



მომზადებულია მონაცემები, რაც ვიზიტორებს განსაკუთრებით იზიდავს. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტი მორთულია კასკადური განათებით, რაც სახალალო ნაძვის ხის ახლებურად აღქმას წარმოადგენს, – წერს გამოცემის ურნალისტი ქეთილი მორტონი.

Conde Nast Traveler-ის სტატიაში თბილისთან ერთად ლონდონში, ბერლინში, ბერნში, ედინბურგში, ბრიუსელში, კოპენჰაგენში, დუბაიში, ჰონგ-კონგში, ნიუ-იორკში, მონრეალსა და მსოფლიოს სხვა პოპულარულ ქალაქებში მიმდინარე საშობაო საშობადისია აღწერილი.

აუქციონზე პრინსესა დიანას ქიჯოჯ პრემია კაპა გაიყიდა

პრინსესა დიანას შავ-ლურჯი კაპა აუქციონზე Julien's Auctions 41,143 მილიონად გაიყიდა, რაც დიანას გაყიდილი უძველესი რეკორდული თანხაა.

კაპა მრავალფეროვანი დიზაინისაა, უკვე აბგურის მიერ არის შექმნილი. მისი ზედა ნაწილი შავი ხავერდისგან არის დამზადებული, რომელზეც ვარსკვლავებია ამოქარგული, ქვედა ნაწილი კი ლურჯი ფერისა და ბათით არის გაფორმებული. დიანას ის სულ მცირე ორ ოფიციალურ ღონისძიებაზე ეცვა – 1985 და 1986 წლებში. უცნობია ვინ გახდა დიდი მრავალფეროვანი უძველესი ცოლის კაპის მფლობელი.



სელინ დიონა კუნთიგა კონტროლი დაკარგა

პანაღელი მომღერალი სელინ დიონა მოსკოვში ადამიანის სინდრომის გამო კუნთებს ვეღარ აკონტროლებს, – ამის შესახებ გამოცემას 7 Jours მისმა უფროსმა დამ, კლოდეტმა განუცხადა.

„სელინი ბევრის მუშაობს ჯანმრთელობის აღდგენაზე, მაგრამ საკუთარ კუნთებს ვერ აკონტროლებს. ყველა ოცნებობს მის სცენაზე დაბრუნებაზე, მაგრამ როგორ? ხმის იოგები კუნთებია, გულიც კუნთია. ამის გამო ვენეროლოგი, – განაცხადა კლოდეტმა.“

ერთი წლის წინ სელინ დიონა გაამხილა, რომ ექიმებმა მას ნევროლოგიური დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც კუნთების სპაზმს იწვევს. მომღერალმა თქვა, რომ ამის გამო მას არა მხოლოდ სიმღერა, არამედ ცხოვრების ჩვეული წესის შენარჩუნებაც უჭირს. დიონა ვეროპული ტურნე და სხვა დაგეგმილი გამოსვლები გააუქმა. მოუხრელი ადამიანის სინდრომი ვანკუერში დაიწყო, მაგრამ თერაპია მისი განვითარების შენელებსა და პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ეს დაავადება მილიონში 1-2 ადამიანს უდგინდება.

პირჯინის სკოლების ბორდის წევრმა ფიცი ბი პორნოგრაფი დალო

აშშ-ში, ვირჯინიის შტატის ქალაქ ფარნუკის ერთ-ერთი სკოლის ბორდის წევრი სკოლის მიმლიოთეკაში სექსის აღწერის შემცველი წიგნების მოძრება.

კარლ ფრიში, რომელიც ბორდის თავმჯდომარედ აირჩიეს, მხარს უჭერს მიმლიოთეკაში ისეთი წიგნების არსებობას, რომლებიც ერთხანს ქვეყანა სექსის გრაფიკულ აღწერას შეიცავს. ხშირად კრიტიკოსები მას პორნოგრაფიულსაც უწოდებენ.

„ფარნუკის აქვს შემარჯუნენ რელიგიური ფანატიზმის ეპიცენტრად ყოფნის ისტორია“, – განაცხადა მან. ამასთან, კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ ფრიშის საქმიანობას ვირჯინიის სკოლებში, რადგან მას თავად შეილები არ უყავს და არის პოლიტიკური კონსულტანტი კალიფორნიიდან.



სადღესასწაულო განწყობა ეპროკაში

დრეჯიანი, პინა, სტრასბურგი

პირველი საშობაო მანტონი დასრულდა მოცემაში 1435 წელს. არ ჩამორჩნენ გერმანელებს არც მებობელი ავსტრიელები, რომელთაც პირველად 1473 წლის დეკემბერში გამართეს საშობაო ვაჭრობა, როცა ვენის მთავარ მოედანზე გამოაჩინეს საკვები პროდუქტი და საკუთარი ხელით შექმნილი ნაკეთობები. უძველესი ტრადიციებით ამჟამის სტრასბურგის, სადაც მანტონი ტიპის ვაჭრობამ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში მოიპოვა პოპულარობა, თუმცა საშობაო მანტონი მხოლოდ 1570 წელს დაიკვიდრა პროტესტანტიზმის გავრცელების შემდეგ.



დღეს სტრასბურგის გიგანტური მანტონი ქალაქის ისტორიულ ცენტრში იმართება და პირველ რიგში ნაციონალური კერძების მრავალფეროვნებით იწონებს თავს. არანაკლებ მასშტაბურია ვენის მანტონიც, რომელიც წელიწადში სულ მცირე 3 მილიონ სტუმარს მასპინძლობს და მეტწილად ტრადიციული სუვენირებით, ხის ნაკეთობებითა და ადგილობრივი ნუგარით ვაჭრობს, რომელთა დაგემოვნებაც განსაკუთრებით სასიამოვნოა სიმფონიური ორკესტრის მუსიკის ფონზე. სახალისო სანახაობა იმართება დრეჯიანის მანტონაზეც, რომლის მთავარ ღირსშესანიშნაობად ერცგებრიგეს პირამიდა, მინიატიურული რკინიგზა და მოხატული ხის ციხე-სიმაგრე ითვლება გიგანტური ადვენტ-კალენდრით, რადგან სწორედ მისი კარის გაღებით და თოჯინების წარმოდგენით ითვლიან დრეჯიანელები ადვენტის დღეებს.

ვალკენბურგი, სიუიცი

ორმოხალური გამოიჩინა ვალკენბურგის ცნობილი ციხე-სიმაგრის ასაგებად, მაგრამ დღეს იქ ვერაშის ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო მანტონია ზღაპრული ატმოსფერო და ნამდვილი სადღესასწაულო განწყობით.



საინტერესო ადგილი – ქალაქის საჩუქრით სავსე სუვენირების ფართო ასორტიმენტით, პავილიონების სიმრავლითა და სვანოვსკის 6 ათასი კრისტალით მორთული ნაძვის ხით იზიდავს სტუმრებს. შევიცარული შობის აუცილებელი ატრიბუტა ვერდამიულეპლაცის მრავალმხარეულობის ნაძვის ხის ფორმის პლატფორმაზე, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია საშობაო სიმღერის შესრულება, ვისაც მწვანე ქურთუვი და ზანზლაკებიანი ჩითელი ქედი აქვს.

უხსოვრი ვალკის ქარსი:
აშუ ღოღარი - 2.6882; პერო - 2.9430;
ბრიტანული ბიკანქა სტარლინი - 3.3952;
100 რუბლი - 2.9673; თურქული ლირა - 0.0922;
აშუბრაქნიანი მანათი - 1.5783;
1000 სოხური დრაჰი - 6.6265

პირველი 22 დეკემბრისთვის

ალპოსპალითი სანარსოვლო:
პერი - დრეჯიანი -1, ლეი +13
მოიანი რაიონი - დრეჯიანი -4, ლეი +11

ალპოსპალითი სანარსოვლო:
პერი - დრეჯიანი +5, ლეი +17
მოიანი რაიონი - დრეჯიანი -5, ლეი +6
თბილისი - დრეჯიანი +3, ლეი +10

დაგვირეკით, მოგვხარით:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
საქართველოს №116 (დრეჯიანი პინა)

მთავარი რედაქტორი
საბრტაკ ძოვულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა მამუკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შეპროდუცირებული
ფაქსი:
ალეო ასლანიშვილი
მინი ბაბრიძე
მინი პლათონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტი-
კომპოზიტორები:
ნაირა კაკალია,
მინი იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა ბვილია

რაქლამის მინეჯარი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი
599 36-00-35

იკავდება სტამბა
„კოლორი“
ე. ზაღალაძის №3
კოლორი
ჭავჭავი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ავტორთა
საშუბრადღაობი!
რადამციის მიერ
შეუქმუტავი მასალაი
დაიკავდება
ავტორთა ხარაჯით.

გაზეთის
მომდევნო
ნომერი
გამოვა
ორშაბათს,
25 დეკემბერს